იურისტ ლევანი კოკორაშვილის სამუშაო გამოცდილების ინფორმაცია. Cv

ლევანი კოკორაშვილი დაიბადა 1972 წლის 25 ივლისს,სწავლობდა ყვარლის,თბილისის,ქობულეთის საშუალო სკოლებში,1990 წლიდან 1995 წლამდე სწავლობდა თბილისში,გივი სერგიას სახელობის საესტრადო და საცირკო ინსტიტუტში ვოკალის მიმართულებით ხოლო 1996 წელს ჩააბარა თბილისის ეკოლოგიურ ეკონომიკურ ინსტიტუტში იურიდიულ ფაკუკტეტზე დაამთავრა 2001 წელს.ლევანი კოკორაშვილი სწავლის პერიოდშივე შეუდგა უფლება დამცველის აქტიურ საქმიანობას,იგი სახელმწიფო დაწესებულებებში,სასამართლოს ინსტანციებში და საგამოძიებო უწყებებში იცავდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს,2001 წლის სასამართლოს თავმჯდომარის მარინა ცერცვაძის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირი და ამავე დადგენილებით თავმჯდომარედ დაინიშნა ლევანი კოკორაშვილი,რომელმაც ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის განხორციელება დაიწყო საორდერო წარმოებით საქართველოს მასშტაბით ყველა სასამართლო ინსტანციაში სამოქალაქო,ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის მიმართულებით,მიღებულუ აქვს მონაწილეობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მრავალ პროექტში მაგალითად ადამიანის სამოქალაქო და სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების კუთხით,დიდ ქალაქებში ატარებდა ლექცია სემინარებს როგორც სახელმწიფო უწყებებში ისე ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში.იყო პედაგოგი საჯარო სკოლაში სადაც ასწავლიდა სახელმწიფო სამართალს და დეკლარაციას.ლევან კოკორაშვილს მიღებული აქვს საერთაშორისო სამართლის სფეროში დიდი გამოცდილება საიას პროექტების ფარგლებში.თამამად შეგვიძლია ვთქვათ,რომ ლევან კოკორაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული ათასობით სასამართლო საქმის განხილვაში,ასევე საგამოძიებო ეტაპებზე ადამიანის უფლებების დაცვის პროცესებში და აქედან 85 პროცენტი წარმატებით მოგებული რაც დღემდე ინახება საერთო სასამართლოების არქივში.
ასევე ლევანი კოკორაშვილი ჯერ კიდევ იმ პერიოდში როდესაც უხეშად და კანონის სრული იგნორირებით ირღვეოდა დასაქმებულთა სახელშეკრულებო უფლებები აქტიურად იცავდა და სასამართლოს დასაბუთებულად აწვდიდა ყველა მტკიცებულებას რაც შემდგომში მთავრდებოდა წარმატებით.
ლევან კოკორაშვილმა სახელმწიფოსთან მოიგო 2013 ,2014,2015,2016 წლებში სისხლი და ადმინისტრაციული სასამართლო საქმის წარმოება ისე რომ არცერთი საქმის საერთაშორისო სასამართლოში გატანის აუცილებლობა დღის წესრიგში არ დამდგარა.